№ 133

ხუთშაბათი, 22 ივნისი, 1900 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 133

ხუთშაბათი, 22 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



## საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სა მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და მნიშვნელი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—1)


## „ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც სურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.


## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

გ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიური და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 11 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

გ. გ. წერეთელი, 6—8 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

მ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მკურნალი
## გ. გ. წერეთელი
იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდის.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ქუთაისის ჭაჭუცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—20)


## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა გლეხი თომა ტოკლიკაშვილი—თუქურმიშის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

## ახალი ამბავი

⁂ 17 ივნისს მომხდარ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა სხდომაზედ, სხვათა შორის, ამორჩეულ იქმნენ წევრნი იმ კომიტეტისა, რომელსაც ეკისრება მომავალ კავკასიელ მკურნალთა მეორე კრებისათვის ზრუნვა და მისი მოწყობა. კომიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა მ. ვ. ლუნკევიჩი, მის ამხანაგად ა. ა. პავლოვსკი, ხოლო თუ პავლოვსკი უარს განაცხადებს, მაშინ არტემიევი. ამათ გარდა არჩეულ იქმნენ: 1-ლ მდივნად—ა. რ. ფიშერი, 2 და 3 მდივნად ე. მ. სობესტიანსკი და ვიხრევი, კრების „ფურცლის“ რედაქტორად—ა. ა. ნოვიცკი, სექციების გამგეებად: მალიარიისა—ა. გ. გურკო, კეთროვნებისა—ტ. ს. ქიქოძე, სანატორიებისა—ტ. ი. რუდენკო, სიფილისისა—ს. ს. ისტომანოვი, გადამდებ სენთა—გ. ნ. სტეფანოვი, ბალნეოლოგიისა—ა. პ. არტემიევი, პრაქტიკულ მედიცინისა და შეშლილთა სექციის გამგედ—ს. ა. ვოინო და დ. ო. ორბელი.

⁂ საერო განათლების სამინისტროს სამასწავლებლო სემინარიების სუფთად წერისა, ხაზვის და ხატვის მასწავლებლებს ამიერიდგან ისეთივე უფლება ეძლევათ, როგორც სხვა საგნების მასწავლებლებსა აქვთ და პენსიად წელიწადში 300 მანეთამდე დაენიშნებათ.

⁂ დღეს ტფილისის გამგეობის სადგომში მოხდება კრება ქალაქის სასწავლებელთა კომისიისა ქალაქის მოურავის ბ-ნ ევანგულოვის თავმჯდომარეობით; ამ კრებაზე ამორჩეულ იქმნება ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელთათვის 11 მასავლებელი და აგრეთვე ხარფუხის სკოლის გამგეც.

## ფელეტონი

### [...]ირე შენიშვნები მესხეთის შესახებ
(შემდეგი *)

[...]ერთის სიტყვით, მესხნი, გამო[...]ონი ისტორიულს ასპარეზზედ [...]ძველესს დროში გულ-ხელ დაკ[...]ილნი არა მსხდარან, მათს ჭკუა[...]ნებასაც უვარჯიშნია და შეუქმნია [...]ელემენტები, რომელნიც შეადგენ ხალხის კულტურას: ენა, სარ[...]ოება, წეს-წყობილება საერო [...]სულიერო, სწავლა-ხელოვნება, [...]ობა, მრეწველობა და სხ. მა[...]ველა ეს ოსმალთ ბატონობამ [...]საუკუნის განმავლობაში შეს[...] და შელახა. როგორც ვთქვით, [...]მესხეთი აღიარებულ იქმნა [...]კად და დაყოფილ ყაზებად, [...]ბად (ჩვენებური გუბერნია) [...]ეთებად, მისნი გამგებელნი [...] ფაშები, მუთესარიფნი, ვა[...]ლები და ბეგები. აი, სხვათა შორის, იმ დროის 24 სანჯაყი: 1) ახალციხე; 2) ჯავახეთი; 3) თრიალეთი; 4) ხერთვისი; 5) ქვაბლიანი; 6) ფოცხოვი; 7) არტაანი; 8) ჩილდირი; 9) აწყვერი; 10) არტანუჯი; 11) ართვინი; 12) ზემო და ქვემო აჭარა; 13) იმერ-ხევი; 14) მაჭახელი; 15) ლივანა; 16) კოსკიმი; 17) თაოსკარი; 18) სინგოთი; 19) პარხალი; 20) ნამურავანი (ნარიმანი); 21) ორთოსი (ოლთი); 22) ფანაგი; 23) სპერი; 24) ბასიანი თორთომითურთ. (ეს ცნობები ამოღებულია გაზ. „დროებიდგან“ 1879 წ. № 128). ამ გვარად მყარდება ახალი წესი, ახალი მართვა გამგეობა. ჩვენს მწერლობაშიაც შემოდის ახალი სახელწოდება იმ დროის მესხეთისა: „ოსმალოს საქართველო“. სახელმწიფო ენად აღიარებულ იქმნა ოსმალური, რომელიც მძიმე-მძიმედ შევიდა ხმარებაში და შეითვისეს არა მარტო ქართველთ, არამედ სხვა ტომის ერთაც (ებრაელებმა, სომხებმა), ჰკარგავს რა თავისს საყოველთაო სახელმწიფო ხასიათს, ენა ქართული იცვლება, ირყვნება და მახინჯდება. ეხლა რომ დაუკვირდეთ იქაურს ქართულს სასაუბრო ენას (ნამეტნავად სოფლად), შევნიშნავთ, რომ მას მრავალი ოსმალური სიტყვა შეჰპარვია და მრავალი ქართული სიტყვაც თათრულის ენის გავლენის ქვეშ გადამახინჯებულა *).

მესხეთი მოსწყდა საქართველოს პოლიტიკურად, იგი მოჰშორდა საქართველოს საკათალიკოზოს სარწმუნოებრივადაც. დარჩა ეს ძველადგანვე გაქრისტიანებული მხარე უპატრონოდ და უმფარველოდ ურწმუნოთა ხელში. ოსმალოს მთავრობამ თავისუფლად მიჰყო ხელი ქრისტიანობის ამოგდებას და მაჰმადის სჯულის დამყარებას ქრისტიანეთა შორის. ეკკლესია-მონასტრები, ეს ქრისტიანობის და სამწიგნობრო მოღვაწეობის უძველესნი და უპთავრესნი დედა-ადგილნი სწავლა-განათლებისა გააუქმეს, მიანგრ-მოანგრიეს, მათი ქონება დაიტაცეს, ნაშთნი სამწერლო მოღვაწეობისა წყალსა და ნიავს მისცეს. საეპისკოპოსო კათედრები მოსპეს, ეპისკოპოსნი, მღვდელნი და ბერნი, ეს უპირველესნი წინამძღოლნი და მასწავლებელნი ხალხისანი, დაიქსაქსნენ. მოსწყდა ქრისტიანობა, შემცირდა ქრისტიანული ღვთის-მსახურება. მაჰმადიანობის დამყარება და გავრცელება სწარმოებდა ორნაირის გზით: ძალა-მახვილითა და საჩუქრითა. პირველი საშუალება ის იყო, რომ ოსმალონი ძალას ატანდნენ ქრისტიანებს უარ-ეყოთ ქრისტეს სჯული, ქრისტიანული წესები და გამხდარიყვნენ მიმდევარნი მაჰმადის სჯულისა და წესისა. უარ-მყოფელნი მაჰმადისა მიეცემოდნენ დიდსა შევიწროებასა, დევნასა და ტანჯვა-წვალებასა; სიკვდილითაც ხშირად ისჯებოდნენ. თვით ეპისკოპოსი ბერძენთა, რომელიც სცხოვრებდა ახალციხის წმ. მარინეს ეკკლესიასთან, არ ასცდა ამ გვარს სასჯელს ურწმუნოთაგან. მეორე საშუალება იყო საჩუქარი: ქრისტიანობის უარ-მყოფელთ და მაჰმადის მიმდევართ ოსმალოს მთავრობა ანთავისუფლებდა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისა და სახელმწიფო გარდასახადისაგან. მოხუცთა სიტყვით, იმ დროის სახელმწიფო გარდასახადი ყოფილა: ა) ხარაჯი ანუ სჯულის გარდასახადი, ახდევინებდნენ 25 ყურუშს ქრისტიანებს სახელმწიფოს სასარგებლოდ და ბ) სალანი—გარდასახადი ქრისტიანებისა ფაშის სასარგებლოდ. როგორც ეტყობა, ეს გარდასახადი საფაშოს ადგილობრივ საჭიროებას ჰხმარდებოდა. უეჭველია, სხვა გადასახადიც იქნებოდა ოსმალოს საქართველო-

*) „ივერია“ № 132.

*) მაგალითად: ოყა—სამი გირვანქა; ბათმანი—$^1/_2$ ფუთი; ყურუში—ფულის სახელი; ჰაიდე—წავიდეთ; ჰანია—სად არის?; ფაშალმა, სუდალმა, შაჰალმა—სხვა-და-სხვა ვაშლების სახელებია; ყაბაღარმუდი, ნანაარმუდი, ნანაზირი, შევარმუდი—მსხლების სახელები. ყათმარი, დემურტათლი, ლუხმა, ბიში, ფახლავა—ნამცხვრების სახელები. ფიშმანს გავხდი—შევცდი, ვინანე; ყარაფაფახი—ჩვენებური გზირი; ზათი—მაინც; დავჯექ, ჰესაბ ქითაბი ვქენი—დავჯექ და ვიფიქრე, ვიანგარიშე. ზექიათი—ზღაპარი; ჰერ—არა, არაფერი; ქვიშნა—ალუბალი და სხ. მრავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** სამშაბათს, 20 ივნისს, გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება იმის შესახებ, რომ გამორკვეულ იქმნას რაოდენობა იმ ფულისა, რომელსაც იხდიან ტფილისის სახლის პატრონნი ქუჩების მოსაკირწყლავადა და არხების გასაყვანად. გამგეობამ, განიხილა-რა ეს საქმე 20 ივნისს, დაადგინა მოიწვიონ ამ საქმის გამოსარკვევად 6 თვის ვადით ერთი ბუჰგალტერი, რომელსაც დაენიშნება თვეში 50 მან.

*** ქალაქის გამგეობას, მოუსმენია რა თავისს უკანასკნელს სხდომაზედ დამატებითი მოხსენება სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისა იმის შესახებ, რომ ქალაქის სამკურნალოში მოექიმე მკურნალებმა ქ-ნმა მუხარინსკაიამ, ბ-ნმა გძელიშვილმა, კლენოვსკიმ, იგიტიანცმა და თავ. ერისთავმა თანხმობა განაცხადეს საზაფხულოდ დათხოვნილ ქალაქის მკურიალთა თანამდებობას ვიკისრებთო, დაუდგენია ამათი თანამდებობანი ზემოდ აღნიშნულს მკურნალებს ჩააბაროს.

*** ქალაქის სამხედრო საკრებულო უკვე შეუდგა საშუალო სასწავლებლებში იმ სწავლა-დამთავრებულთა მიწერვას, რომელთაც განზრახვა აქვთ უმაღლესი სწავლა განაგრძონ.

*** კავკასიის ზოგიერთ ქალაქიდგან ტფილისის საპატიმროში პატიმართა გადმოყვანაზედ ადგილობრივმა მთავრობამ უარი განაცხადა, რადგანაც ამ ჟამად ადგილობრივი საპატიმროც მთლად სავსეა.

*** ტფილისის სამხედრო საფერშლო სკოლის მოწაფენი საზაფხულოდ კოჯორში წავიდნენ.

*** ტფილისის რკინის გზის ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველოს ახალი უფროსი პოლკოვნიკი ფონგლენი უკვე შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** ტფილისის სამხედრო საკრებულოში სამხედრო მკურნალის პ. ვ. სმირნოვის ადგილას მისის უდიდებულესობის დრაგუნთა ნიჟეგოროდის მე-44 რაზმის უმცროსი მკურნალი ბ-ნი ლემბკე იქმნა დანიშნული.

*** რკინის გზის სადგურთა უფროსებს თავისს მთავრობისაგან განმარტება მიუღიათ, რომ მგზავრთა ბარგის ვაგონში ჩარჩენისა ან დაკარგვის დროს დეპეშით დაკითხვაში ფული არ გამოართვან ხოლმე მგზავრებს, რადგანაც ეს უკანასკნელიც, ე. ი. დაკარგულ-ბარგის სხვა სადგურებზედ დეპეშით მოკითხვა, სამსახურის ნაწილს შეადგენსო.

*** გზათა მინისტრმა თავ. ხილკოვმა ნება დართო, რომ 18 ივნისიდგან ახლად დამთავრებულს რკინის გზაზე ქიათურიდგან სოფ. დარკვეთამდე მიმოსვლა დაიწყოს.

*** ქალაქის გამგეობის წევრი თ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, მისივე თხოვნის თანახმად, ქალაქის გამგეობამ 20 ამა ივნისის დადგენილებით სამსახურიდგან გაანთავისუფლა ერთის თვის ვადით, ხოლო მისდამი რწმუნებულ გამგეობის მე-4 განყოფილების გამგეობა დაავალა გამგეობისავე წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს.

*** საჯაროდ გამოქვეყნებულია, რომ ამიერიდგან შეცვლილია წესრიგი კბილის ექიმობის უფლების მიღებისა.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს ქალაქის მოურავისათვის უცნობებია, რომ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის ქალაქმა ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან სესხად 600 ათასი მანეთი აიღოსო.

*** გუშინ წინ, 20 ივნისს, კავკასიის სააბრეშუმო სადგურზედ მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის უფასო კურსები იქმნა გახსნილი.

*** 1-ლ ივნისიდგან 16-მდე ქ. ტფილისში სხვა და სხვა გადამდებ სენით 13 გამხდარა ავად; ამათგან: ხუნაგით—6, ყელჭირვებით—1 და ითელათი—6.

*** საქალაქო უწყების კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველოს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ 6,100 მან. თანხა მიეცეს სესხად ოლგას სახელზედ არსებულ კავკასიის საზებიო ინსტიტუტს ამ წლის ხარჯის დასაფარავად.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა დაამტკიცა ტფილისის საბაღოსნო სკოლაში გარდაცვალებულის ი. ს. ხატისოვის სახელობაზედ დაარსებული სტიპენდია. სტიპენდია არსდება პროცენტებით იმ თანხიდგან, რომელიც შემოწირულებით იქმნა შეგროვილი. სტიპენდია სკოლის საბჭოს დადგენილებით ეძლევა სკოლის მოწაფეთაგანს განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოებისა.

*** კვირას, 18 ივნისს, მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი ა. ს. სტევენი სოფ. ოძისში წავიდა, სადაც დაათვალიერა თავ. ერისთავის მიერ შეწირული მამული. ბ-ნი სტევენი აქედგან ქუთაისის გუბერნიაში წავიდა, სადაც მას განზრახვა აქვს საქარისა და კარგისუბნის სანერგეები და ამერიკული ვაზით გაშენებული ვენახები გლეხებისა დაათვალიეროს.

*** დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ წლითი წლობით ემატება ორმოც-სამოცამდე წევრი; წელს, მაგალითად, საზოგადო კრებამ მიიღო სულ სამოც-და-ერთი ახალი წევრი.

*** ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი დ. ს. ს. ბ-ნი ვერეტენნიკოვი, რომელიც სახაზინო პალატის უწყების სამაზრო ხაზინების რევიზიის მოსახდენად იყო წასული, შაბათს, 17 ივნისს, უკვე დაბრუნდა ტფილისში.

*** როგორც შევიტყვეთ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულ სასტატისტიკო ბიუროს სტატისტიკოსის თანამდებობაზე კანდიდატობის სურვილი გამოუცხადებია ორს კაცს: ფილიპე გ. გოგიჩაიშვილს, რომელიც წელს ასრულებს უმაღლეს სასწავლებელს ლეიპციგში, და კავკასიის ხაფილოქსერო დასის ინსტრუქტორად ყოფილს ბ-ნ ქ. ა. დანდუროვს.

*** 19 ივნისს, ღამის $10^1/_2$ საათზედ, პოლიციის ორი დარაჯი სოღანლუღში გლეხების გამმარცველს ყაჩაღებს გამოეკიდნენ კრეზნის შოსსეზედ. ერთმა ყაჩაღთაგანმა ტოლლეს საპნის ქარხანასთან ცხენი კრწანისის ბაღებისაკენ გააბრუნა და დაიმალა, ცხენი და ხურჯინი-კი, რომელშიაც ორი შაქრის თავი და ერთი თოფი ბამბაზია იდო, გზაზედ დასტოვა; მეორემ ვორონცოვის ქუჩისაკენ გააჭენა ცხენი. ადელხანოვის ქარხანასთან მოდარაჯე პოლიციელს სტროკანს დაჭერა უნდოდა, მაგრამ ყაჩაღმა ხურჯინი და ნაბადი მოიხსნა და ცხენი სურფ-სარქისის აღმართს შეუყენა, შაითან-ბაზრისაკენ, აქედგან მეტეხის ხიდს გავიდა და მერე სადღაც მიიმალა. მოდარაჯე პოლიციელებმა არა იცოდნენ-რა საქმე რაში იყო და ყაჩაღის დაჭერა აზრადაც არ მოსდიოდათ, მხოლოდ უყვიროდნენ—ბგრე მალიან ნუ მაჭენებ ცხენსაო. ამ ამბის შესახებ ეხლავე მაშინვე ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს კოვალევს აცნობეს, რომელმაც მაშინვე განკარგულება მოახდინა პოლიცია ძებნას შესდგომოდა. პოლიციამ მართლაც მაშინვე დაუწყო ძებნა და იმ ღამეს მრავალი უპასპორტო და საეჭვო კაცი შეიპყრო, რომელთა შორის შეიძლება აღნიშნული ყაჩაღებიც იყვნენ. ამისათვის ყველა ამათ ტფილისის მაზრის უფროსს წარუდგენენ, რომ ყაჩაღები იცნოს.

*** 8 თიბათვეს სეტყვამ საშინლად გაანადგურა თრიალეთზედ ქართველთა სოფლები: კაკლიაანი, მამულაანთ სოფელი და პატარა გომარეთი. დიდ გომარეთსაც უწია, მაგრამ ისეთი დიდი ზარალი არ მისცა, როგორც სხვებს. კარგა წელს არ გაიღეწნა ამ სოფლებში, ბალახს ცელი არ მოესმება და, საეჭვოა, გაიზრდება მაინც იმოდენად, რომ წელს ზამთრულობით მაინც მოვლოს საქონელმა?—სწერდა მამასახლისი თავისს მოხსენებაში. კართოფილიც-კი მიწიანად ამოიღო ნაყდევარმა. ხისტუნეული, კაცის საზრდო და საქონლის სამოვარი სულ მთლად გაანადგურა სეტყვამ. მეტადრე, რომ სხვა დარგი წარმოებისა: ქირავნობა, ხელოსნობა, მეგვანახობა, გინდ სავაჭროზე მუშაობა აქ არ არსებობს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მარელისიდგან იუწყებიან, რომ 19 ივნისს საქონლის მატარებელმა № 113 მე-147 ვერსზედ ვიღაც უცნობი კაცი გასრისა იმ დროს, როდესაც იგი ლიანდაგზედ გადასვლას აპირებდაო.

—

**ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.** „ივერიის“ მე-130 ნომერის „ახალს ამბებში“ დაბეჭდილი იყო, რომ ქალაქის გამგეობამ ორის თვით სამსახურიდგან გაანთავისუფლა ექიმები გედევანიშვილი და მირაქოვი ჯამაგირების შენახვით; უნდა იყოს: უჯამაგიროდ.

## „ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ“ ᲥᲘᲖᲘᲧᲨᲘ

ანუ

მიწათ-გამიჯვნის საქმე.

ო, შვილნო მიწისანო, გიყვარდეთ მშობელი თქვენი დედამიწაო, —უთქვამს ჩვენს მამათ-მთავარს ადამს და იშვიათია ცას ქვეშეთი ისეთი ძლევა მოსილ სტიქიონსავით მძლავრი და ცეცხლის ფერ ქვეველ მთასავით გულ-მხურვალე სიყვარული, ქართველთა ერის უმრავლესობას რომ თავის მაცხოვრებელი მიწა-მამულიმეურნეობა ჰყვარებია უსაზღვროდ თავის ქვეყნად გაჩენის დასაბამიდგანვე და უყვარს დღესაც განუზომელად, უზენაესის ცის ტრაპეზამდე ამწვდომის გრძნობიერებითა და ცნობიერებით... დედა ქართვლისა აკვნის რწევიდგანვე ეჩიჩინებოდა თავისს ძუძუთა ვარდის კონას დედულ-მამულის სიყვარულს ასეთის სიტყვებით: „ჩემის მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწოვებ, მისის სიკეთისათვის გაგწირავ და გაბრძოლებ... მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შეჰრგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაჰზარებია“ და სხვანი... ყოველი კეთილ-გონიერი და მაღალგრძნობიერი დედა-მშობელი ასეთსავე ნანინას ეუბნება დღესაც და ეტყვის მომავალშიაც თავისს სულის სანეტარო სამოთხეს და გულის სანუგეშო იმედს ძუძუთას, რადგანაც მიწა-მამული ყოფილა, არის და იქნება ქართველთა უმრავლესობისათვის ყველა ნივთიერ ქონებაზედ უუმკვიდრესი და უუსაზღვროვესი ქონება და ამაზედ უთქვამთ კიდეც ჩვენს წინაპრებს: წყალნიც წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო,

„მამულო შენთვის მოვკვდები,
შენთვის ჩავიცვამ შავსაო.
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შემოგევლები თავსაო!..“

თუ რა უფასო და საშვილი-შვილოდ გარდასაცემი უკვდავი განძია მიწა-მამული ადამიანისათვის, ამას უფრო მაღალ-ნიჭიერ პოეტის ციმონაბერი ფანტაზია მარგალიტივით გვისურათხატებს უკვდავად შიშიანობის დროს. აი ეს საგულისხმო ეპიზოდი: 1848 წ. დაღისტნის დიდძალი ჯარ-ლაშქარი დასცემია ქიზიყს და მრავალის დავლითა და ტყვეებით დაბრუნების უმალ უკითხავს შამილს თავის ნაქებ ბელადისათვის: „აბა, ჩემო ერთგულო ისმაილ-ბეგ, მიამბე: რა დავლა-ნავნებით დაჰბრუნდი ქიზიყიდამო?“ და ისმაილბეგსაც მოჰრით უპასუხნია: „უქკუო კაცის ქონება-საცხოვრებელი მთლად დავლად წამოვიღეთ და ჭკვიანის კაცისა-კი სულ იქვე დარჩაო“.—„რას ეძახი უჭკუოსა და ჭკვიანის კაცის ქონება-საცხოვრებელს, ამიხსენიო“, უბრძანებია შამილს.—„იმას ვეძახი, ხელმწიფეო ჩემო, რომ უჭკუო კაცის ქონება-საცხოვრებელი: ცხვარი, ძროხა, ცხენი, ღორი, ფული, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მრავალი სხვა ძვირფასი განძეულობა, ნივთეულობა თუ ავეჯეულობა—სუყველა ავიკელით, დავლას გამოვაყოლეთ, და ჭკვიანის კაცის უკვდავი და საშვილის-შვილო გარდასაცემი ქონება-საცხოვრებელი-კი: ვენახი, მინდორი, ტყე, ნახნავი, ნათესი თუ შენობები—სულ იქვე დარჩნენ უძრავად და ხელ-უხლებლადაო“.—„ყოჩაღ, ბარაქალა, ისმაილბეგ, ბარაქალა მაგ სიტყვისთვის! ბრძენი ყოფილხარ შენცა და იმ უკვდავ ქონების პატრონი ქართველებიცაო“,—მოუწონა თურმე შამილმა და დიალაც რომ მოსაწონია ასეთი დიდად საგულისხმო, ბრძნული თქმულება ისმაილ-ბეგისა.

ყველა ზემო-თქმულის მიხედვით აღარ იყო საკვირველი ამ თვის 9-ს რომ ქვემო-ქიზიყის მრავალ თავისუფალ ხალხს მოეყარა თავი ქალაქ სიღნაღში ახლად [illegible] მოსამართლეთა სამსჯავროსა ძახლობლად და ყველანი ზღვასავით ამღელვარებულ გულის შეშფოთებულის ცახცახით და ეჭვიანის სევდანაღვლით მოღრუბლულ სახის მწუხარე გამომეტყველებით შესჩიოდნენ ერთმანეთს მგლოვიარესავით ღაღვრემილნი: „ღმერთი და ბედი, ვნახოთ ჩვენი განკითხვის დღე რას გვეტყვის საღამოზედ: ჩამოგვართმევენ და არ დაგვიმტკიცებენ საკუთრებად ჩვენის მამა-პაპის სისხლით შეღებილსა და ჩვენის შრომის ოფლით მორწყულს დედულ-მამულებს, თუ შეჰხედავენ თვიანთ გამჩენს და იტყვიან ღვთის ქვეშ: რას ვემართლებითო“! ეს თავისუფალი ხალხნი იყვნენ სამის სოფლისანი: ზემო და

---

შში. გარდა ამისა, ოსმალოს მთავრობა მამულს ართმევდა იმას, ვინც მტკიცედ იდგა თავისს სჯულზედ, და გარდასცემდა იმას, ვინც განუდგებოდა მამა-პაპურს სჯულს და აღიარებდა მაჰმადიანობას. საზოგადოდ გამაჰმადიანებული ქრისტიანები დიდს პატივსა და მყუდროებაში ყოფილან, ამათ თურმე კაცის-მკვლელობასაც-კი აპატიებდნენ ხოლმე. უეჭველია, რომ ზოგი ვერ იტანდა ოსმალოთა ძალდატანებას და მათს მკაცრს მოპყრობას, ზოგიც რჩეობდა საჩუქარს და მყუდრო ცხოვრებას და ამისათვის ქრისტიანები სტოვებდნენ მამა-პაპურს სჯულს და გადადიოდნენ მაჰმადის სჯულზედ, აქედგან წარმოსდგნენ ეხლანდელი ქართველი მაჰმადიანები. ამას ზედ დაერთო რომის მისსიონერების მოქმედების გაძლიერება სამცხეთოში. ოსმალოს მთავრობისაგან არ იდევნებოდნენ რომის მისსიონერები და კათოლიკეთა სარწმუნოების მიმდევარნი. მათ უფრო მეტი შეღავათი, თავისუფლება და მოსვენება ჰქონდათ, ვიდრე მართლ-მადიდებელთ. ამისათვის ერთის მხრით მისსიონერები, რომელნიც იმ დროს ბლომად შემოდიან სამესხეთოში, უფრო ფართოდ და თავისუფლად ჰმოქმედებენ თავიანთ საგნის მისაღწევად, და მეორეს მხრით თვით მართლ-მადიდებელნიც უფრო ადვილად იღებენ კათოლიკეთა სარწმუნოებას, რადგან ამით ისინი ჰპოულობენ მფარველობას მაშინდელს გაჭირებულს დროს. ეხლაც ბევრნი არიან ქართველი კათოლიკეები ახალციხის მხარეში.

მაგრამ იმ შავსა და ბნელს დროში კიდევ დარჩნენ მართლ-მადიდებელი ქრისტიანები გაქსაქსულნი აქა იქ (ქ. ახალციხეშიაც) ურწმუნოთა შორის. ამათგან ზოგნი იყვნენ იდუმალნი ანუ ფარულნი და ზოგნიც ცხადნი აღმსარებელნი მამა-პაპურის სარწმუნოებისა. ხალხის გარდმოცემით, სოფ. ანდრიაწმინდაში (ახალციხიდგან 4—5 ვერსზედ) ფარული ქრისტიანები ყოფილან. ერთხელ ეს ამბავი ახალციხის ფაშას აცნობეს, მაგრამ იმან მაინც სხვის სიტყვას არ დაუჯერა თურმე და გაჰგზავნა იქ აღდგომის ღამეს მზვერავი, რომ ჩუმად დაეზვერა, ანდრიაწმინდელები ხომ არ ასრულებენ ქრისტიანულს წესებსაო. შუაღამე რომ გახდა, ქრისტიანები წავიდნენ ჩუმად თავიანთ ეკკლესიაში (ეს ეკკლესია ეხლა გაუქმებულია, სოფელ გარედ, ნაგები თლილის ქვით) და დაიწყეს „ქრისტე აღსდგას“-ს გალობა. ამ დროს წამოხტება იქვე ახლოს დამალული ფაშისაგან გამოგზავნილი მზვერავი და შეუტევს მლოცველ ქრისტიანებს. ესენიც, რასაკვირველია, შეშინდებიან, მისცემენ იმ კაცს ფულს და შეეხვეწებიან ფაშას არ გარდასცეს ეს ამბავი, უთხრას მხოლოდ ის, რომ არავინ უნახავს ეკკლესიაში.

ე. მირიანაშვილი

(დასასრული იქმნება)

ქვემო-მაჩხაანისა და ფინიანისა, სახელდობრ: სასულიერო წოდებისანი, აზნაურნი, მოქალაქენი და ვაჭარნი, მაგრამ იმათში ერივნენ სხვა სოფლის ცნობის მოყვარენიც, რადგანაც მიწათ-გამიჯვნის დროს იმათაცა აქვთ დაყორღნილი მამულები (ვენახები, სახლის ეზოები, სახნავ-სათიბი და ტყეები) და ისინიც დღეს თუ ხვალ ასეთსავე „განკითხვის დღეს" მოელიან.

შესრულდა საღამოს რვა საათი, მკვახედ დაიწკრიალა მოწოდების ზარმა, ძალზედ გაიტენა ხალხით ოლქის მოსამართლეთა გაჩირაღდნებული დარბაზი, აგერ მესამედაც შეიწკრიალა ზარმა და გამობრძანდნენ სათათბირო ოთახიდგან წყნარად და მდუმარედ ჭკუა-ხნიერებით დარბაისელნი მსაჯულნი და თავ-თავისს ადგილის დაჭერის უმალ დაიწყო გარდაწყვეტილების კითხვა თავმჯდომარის ამხანაგმა ბ-ნმა სტოიანოვსკიმ. გრძლად წაკითხულ გარდაწყვეტილების ბოლოს მთელი დარბაზის ხალხის აღტაცებულ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა: ყველ[ა]ს თავისს დედულ-მამული დარჩა საკუთრებად, რის გამოც ყველანი ულოცავდნენ ერთმანეთს კანონიერ გამარჯვებას და თან მრავალნი გულითადს მადლობას უცხადებდნენ კერძო ვექილს ილია ივანეს ძე ნატროშვილს. ჭეშმარიტება მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მართლაც და დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ი. ი. ნატროშვილი, რადგანაც გონივრულის გრძნობით და საქმის ზედმიწევნილის ცოდნა გამოცდილებით ჰლაპარაკობდა სამჯავროს წინაშე მთელ დღეს (7 ივნისს).

ოლქის სასამართლოს მიერ ჩვენების ჩამორთმევის დღეს (7 ივნისს) ერთმა ისეთმა წინდაუხედაობამ იჩინა თავი მრავალთა საქმის დასახლართად და წასახდენად, რომ ყველა იქ მყოფ ინტელიგენტს, ყველა ცოტა-მეტად შეგნებულს და თვით მსაჯულთაც-კი უსიამოვნების ზიზღი გაუღვიძათ გულის სიღრმეში და, მაშასადამე, მიუფერებელი სიმართლე საერთო ბედნიერების მონატრე ჟურნალ-გაზეთისა მოითხოვს მოკლედ მოვიხსენიოთ ეს ამბავიც, რათა მომავალში მაინც ვისმე პირადმა ინტერესმა საზოგადო ინტერესების მსხვერპლად გახდომა აღარ ი[...]როს და მოიწადინოს... აი სიმართლე საქმისა: როდესაც ჩვენების ჩამორთმევა დეკანოზ მამა სვიმონ ბეგიაშვილზედ მიდგა ჯერით, მან სამ ხარისხად დაუსახა მსაჯულთ მთელი ქიზიყის სამღვდელოება: პირველს ხარისხებს ეკუთვნიან სხვა მაზრა-კუთხეებიდგან ქიზიყში მოსულნი მღვდელნი და მათ საკუთარი მიწა-მამული არა აქვთო (რატომაო ვითომ?), მეორე ხარისხისანი არიან მოხარჯე გლეხის შვილნიო (ვითომ-და გლეხის შვილებს საკუთრება ვინ მისცათო!..) და მესამე ხარისხს ვეკუთვნით ჩვენ, ქიზიყის მკვიდრნი ბეგიაშვილები, რომელთაც გვყვანდა ისეთი პაპა ფირო, რომ, ნუ დაივიწყებთ, ბატონნო მსაჯულნო, ჩვენ სულ სხვა ჯურისანი გახლავართო. და იმ არვისაგან ცნობილ ფიროს შესახებ ბევრი ილაპარაკა აღმა-დაღმა და გარდი-გარდმო მამა სვიმონმა და ბოლოს ბოლოს ის დასკვნა გამოიყვანა მისის ნაძალადევის „მჭევრმეტყველებიდამ", რომ თუნდ ხაზინამ მთელი ქიზიყის სასულიერო წოდებას მთლად ჩამოართვას ადგილ-მამულები, ჩვენ, „გამოჩენილ" ფიროს შთამომავალთ, ეს არ გვეკადრებაო. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა გულ სატკენი და საწყენია, როდესაც ასე ამცირებენ მარტოოდენ შვილის-შვილისაგან ცამდე ნაქებ ნადიდებს ფიროს, რომ სამჯავრო მართლ-მსაჯულებისა ისეთსავე მესაკუთრედ აღიარებს სასულიერო წოდების „სამსავე ხარისხს", როგორც „სახელოვან გმირ" ფიროს შთამომავლობას!.. მაშ რისთვის ბრძანა იმოდენა ქებათა-ქების უშველებელი „რეჩი" მამა სვიმონმა თავისს „სახელოვან" პაპა ფიროს შესახებ, თუ-კი „ვიღაც" მოსულს მღვდლებსაც, უბრალო მოხარჯე გლეხის შვილს მღვდელ-დიაკვნებსაც და მათ შვილებსაც „გამოჩენილ" ფიროს შთამომავლობათა თანაბარ უფლებას მიანიჭებდა დედულ-მამულის მფლობელობაში მართლ-მსაჯულება? ეჰ, მახლას, ეს სულ სხვა-და-სხვა ქვეყნის ბრალია!.. Sapienti sat.

ივერიკო მთადიდელი

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** რადგანაც გაზეთები ათასგვარ ცნობებს იუწყებიან ჩინეთის ამბების შესახებ, მეტი არ იქნება მოკლედ გადავცეთ მკითხველებს საქმის მსვლელობა ჩინეთში იმ დღიდგან, რა დღესაც სახელმწიფოთანი ჩაერივნენ და ჩინეთისა და ჩინელებ შორის ბრძოლა გაიმართა.

როგორც ვიწყით, სახელმწიფოთა ჩარევის მიზეზი ის იყო, რომ ამ გაზაფხულზედ „დიდის მუშტის" მომხრენი თავს დაესხნენ უცხო ქვეყნელ მისიონერებს. სახელმწიფოებმა ამის გამო ჩინეთის მთავრობას მოსთხოვეს, რომ მან ზომები მიიღოს „დიდის მუშტის" ასალაგმავად. მიიღო თუ არა მთავრობამ ზომები, არავინ უწყის, ეს კია, რომ ყოველ დღე ახალ ახალი ამბები მოდიოდა მისიონერებისა და ქრისტიანე ჩინელების ამოწყვეტის შესახებ. ამ ამბებით შეფიქრიანებულმა სახელმწიფოებმა წარსულ მაისის ნახევარში პატარ-პატარა რაზმები გაგზავნეს პეკინში იქ მყოფ საელჩოების დასაცველად. ამავე დროს „დიდის მუშტის" მოძრაობა თან და თან იზრდებოდა. ამ სექტის მომხრეებმა დაანგრიეს პეკინსა და ტიან-ძინს შუა რკინის გზის ლიანდაგი, გააფუჭეს ტელეგრაფი და ამ რიგად ჩინეთის სატახტო ქალაქი, სადაც საელჩოები იყო, სრულიად მოსწყვიტეს ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებს. გავიდა რამდენიმე დღე და პეკინიდგან აღარავითარი ცნობა აღარ მოსულა. ამის გამო 28 მაისს სახელმწიფოებმა ტიან-ძინიდგან, ინგლისელ ადმირალის სეიმურის უფროსობით, გაგზავნეს პეკინში რაზმი, რომელიც სულ 2000 კაცისაგან შესდგებოდა. მეორე დღესვე სეიმურმა სადგურ ლანფანამდე მიაღწია, რომელიც პეკინსა და ტიან-ძინს შორის ზედ შუა გზაზედ მდებარეობს. მეორე დღეს ლანფანში სეიმურს „დიდის მუშტის" რაზმები დაესხნენ. ჩინელებს გაეფუჭებინათ რკინის გზა და ტელეგრაფი. 1 ივნისს მეამბოხენი სეიმურს უკანიდგან მოექცნენ, ტიან-ძინისაკენ მიმავალი გზა შეუკრეს და ამასთან ამ მხრივაც გააფუჭეს რკინის გზა და ტელეგრაფი. მას შემდეგ სეიმურისაგან აღარავითარი ამბავი აღარ მოსულა; მხოლოდ ამ ხუთის დღის წინად გვაცნობა დეპეშამ, რომ ტიან-ძინიდან გაგზავნილმა ჯარმა (ამ ჯარის უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ, და რუსივე უფროსობდა) გაანთავისუფლა ჩინელების მიერ მომწყვდეული სეიმურის რაზმი და ტიან-ძინში ჩამოიყვანაო. ამ რიგად სეიმურმა სისრულეში ვერ მოიყვანა მინდობილი საქმე, ე. ი. ვერ შევიდა პეკინში და ვერ წამოიყვანა იქიდგან ელჩები და ევროპიელნი. საშინელი წვალება და ტანჯვა გამოცვალა სეიმურს, ვიდრე ტიან-ძინიდგან ჯარი მიეშველებოდა. ყოველის მხრიდან აჯანყებული ხალხი შემოსტყმოდა. სეიმურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ როგორც ჩინეთის ჯარი, ისე „დიდის მუშტის" ბრბონი. სეიმური იმედს ჰკარგავდა მხოლოდ, როგორმე უკანვე ტიან-ძინში დაბრუნდეო; მაგრამ სურსათი შემოაკლდებოდა, მრავალი დაჭრილი ხელს უშლიდა და თან და თან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდებოდა. ეს რაზმი მთლად დაიღუპებოდა, ტიან-ძინიდგან რომ ჯარი არ მიეშველებოდა. ამავე დროს, ვიდრე სეიმურს გაანთავისუფლებდნენ, ჩინელებმა ტიან-ძინსა და ტაკუში დაიწყეს გამაგრება. ტიან-ძინისაკენ კვანტუნის ოლქიდგან რუსეთმა 4000 კაცი გაგზავნა. ეს ჯარი ბოლოს დრომდე იცავდა ქალაქის იმ უბანს, სადაც ევროპიელები სცხოვრობდნენ და იგერიებდა აჯანყებულ მტერს. შემდეგ, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ევროპიელთა შეერთებულმა ჯარმა ტაკუ აიღო. აქედგან ტიან-ძინში რაზმი იქმნა გაგზავნილი იქ მყოფ რუსების მისაშველებლად. რუსებმა და ახალმა ჯარმა განდევნეს ამ ქალაქიდგან ჩინელები, აიღეს თოფხანა და ახლა სეიმურის მისაშველებლად წავიდნენ. როგორც ვსთქვით, სეიმური უკვე გაანთავისუფლეს. ტაკუ ევროპიელებმა 4 ივნისს აიღეს, ტიან-ძინი—11 ივნისს, ხოლო სეიმური—13 ივნისს გაანთავისუფლეს. ყველა ამის შემდეგ ევროპიელებმა თავისი ყურადღება პეკინს მიაქციეს, სადაც ევროპიელნი დიდ გაჭირვებაში უნდა იყვნენ, თუ ჩინელებმა სულ არ ამოწყვიტეს. გუშინდელმა დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ მოჰკლეს ჩინელებმა გერმანიის ელჩიო, მაგრამ ელჩი 5 ივნისს მოუკლავთ, მას შემდეგ 16 დღე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში რა მოხდა, არავინ იცის. ზოგ გაზეთს ატყობინებენ, რომ სხვა ელჩებიც ამოსწყვიტეს, ზოგს კიდევ—ელჩები პეკინიდგან წავიდნენ, მაგრამ სად, არავინ იცისო. სულ პეკინში ელჩების დასაცველად სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ჰყვანდა: ამერიკას—58 ჯარის-კაცი, ინგლისს—70 ჯარის-კაცი, საფრანგეთს—75, რუსეთს—75, იტალიას—40, გერმანიას—50, ავსტრიას—36 და იაპონიას—20 ჯარის-კაცი. სახელმწიფოები მიჰხვდნენ, რომ ის ჯარი, რომელიც ეხლა ჩინეთში ჰყავთ, საკმაო არ არის და ყოველის მხრიდგან ახალ-ახალ რაზმებსა ჰგზავნიან. თითქმის დედა-მიწის ყოველ კუთხიდგან მიეშურებიან ჩინეთისაკენ სახელმწიფოთა გემები, მაგრამ იმათ მისვლამდე კიდევ დიდი დრო გავა, და მანამდე-კი რა მოხდება, არავინ იცის. ხუთის კვირის შემდეგ ჩინეთის ნავ-სადგურებში 80,000 ევროპიელი ჯარის-კაცი იქმნება გადასხმული და ამავე ნავთ-სადგურში 100 სამხედრო გემი იქმნება ომისათვის მომზადებული. არც ჩინელები არიან გულ-ხელ დაკრეფილნი და, როგორც ამბობენ, მარტო შენსიის პროვინციაში (პეკინი ამ პროვინციაშია) მათ 200,000 ჯარის-კაცს მოუყრეს თავი. მარტო პეკინში 127 ათასი ჯარის-კაცია თურმე.

— როგორც „Ostos Lloyd"-ი გადმოგვცემს 1899 წელს ჩინეთის სხვა და სხვა ადგილას 17,193 უცხო ქვეყნელი სცხოვრობდა: 5,562 ინგლისელი, 2,440 იაპონელი, 2,335 ამერიკელი, 1,621 რუსი, 1423 პორტუგალელი, 1183 ფრანგი და 1134 ნემეცი. ამ რიცხვში არ არიან ჩათვლილი ის ევროპიელნი, რომელნიც პორტ არტურსა, გონკონგსა, კიაო-ჩაუსა და ვეი-ხაი-ვეიში სცხოვრობენ. 1899 წელს ევროპიელებსა და ამერიკელებს ჩინეთში სულ 933 სავაჭრო ფირმა ჰქონდათ, აქედგან ინგლისელებს—401, იაპონელებს—195, გერმანელებს—115, ფრანგებს—76, ამერიკელებს—70 და რუსებს—19.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მეცნიერებამ ჯერ კიდევ კარგად არ იცის, რამდენ ხანს სცოცხლობენ გარეული ცხოველები. ამის მიზეზი ის არის, რომ გარეულ ცხოველს, დაჭერილსა და დამწყვდეულს, ადრე ესპობა სიცოცხლე. უწინდელს დროში ის აზრი იყო გავრცელებული, რომ გარეული ცხოველები დიდ ხანსა სცოცხლობენო. სპილო, მაგალითად, ეგონათ, რომ 300 წელიწადზედ მეტსა სცოცხლობს. ფილასტრატი გვარწმუნებს, რომ მეფე პორას საყვარელმა სპილომ მეფის სიკვდილის შემდეგ 400 წელიწადი იცოცხლაო. პლინის აზრით სპილო 200—300 წელს სცოცხლობს, ხოლო არისტოტელისა—200—120 წელს. დღეს დაჭეშმარიტებით იციან, რომ თავისუფლად მყოფი სპილო 80—90 წელზედ მეტს არა სცოცხლობს; ზოოლოგიურ ბაღებში დამწყვდეული სპილოები 30 წელსაც ძლივსა სძლებენ. მარტო-რქა 30—40 წელიწადს ძლივსა სცოცხლობს. პარიჟის ზოოლოგიურ ბაღში მარტო-რქა ჰყავდათ, 25 წლისა ეს ცხოველი საშინლად მოხუცებული იყო. ლონდონში ერთმა მარტო-რქამ 37 წელიწადი გასძლო. ცხენი 25—30 წელიწადს სცოცხლობს, მაგრამ არიან ისეთი ცხენებიც, რომელნიც უფრო დიდ ხანსა სძლებენ. 1753 წელს ინგლისში მოკვდა გენერალ კარპენტერის ცხენი. ეს ცხენი 45 წლისა იყო. ამბობენ მეორე ცხენის შესახებ, რომ 60 წელიწადი იცოცხლაო. აფრიკაში ვირები ამდენ ხანსვე სცოცხლობენ, მაგრამ ევროპაში 15 წლამდე იშვიათად სძლებენ. ერთხელ ნადირობის დროს მოჰკლეს ირემი, კისერზედ ირემს რკინის ფირფიტა ჰქონდა ჩამოკიდებული, რომელზედაც 1829 წელიწადი იყო აღნიშნული. ეს ირემი 1869 წელს მოჰკლეს, მაშასადამე ამ წლებს შუა ირემმა 40 წელიწადი იცოცხლა. ძაღლები 16—18 წელსა სცოცხლობენ. მაგრამ ისეთი მაგალითებიც ყოფილა, რომ ძაღლს 20—22 წელიწადი უცოცხლია. კატაც 18 წლამდე სცოცხლობს. ლომი მგონი დიდ ხანსა სცოცხლობს, როდესაც თავისუფალია, დაჭერილი-კი თითქმის ყოველთვის ჭლექით ხდება ავადა და კვდება. არც ერთი ის ლომი, რომელიც დაუჭერიათ და ევროპაში მოუყვანიათ, სიბერით არ მომკვდარა.

ფრინველთა შორის ჰფიქრობენ, რომ დიდ ხანს ყვავი სცოცხლობსო. ხალხის აზრით, ყვავი 100 წლამდე მიაღწევს ხოლმე. ეს ფრინველი, მართალია, დიდ ხანსა სცოცხლობს, მაგრამ 100 წლამდე მაინც ვერ მიაღწევს ხოლმე. ბევრი, ბევრი ყვავმა 70 წელიწადი იცოცხლოს. უფრო დიდხანს ფრინველთა შორის სცოცხლობენ თუთიყუშები. ლევალიანი მოგვითხრობს ერთ თუთიყუშის შესახებ, რომელსაც 94 წელიწადი უცოცხლნია. სხვა ნატურალისტები გადმოგვცემენ ისეთ მაგალითებს, რომ თუთიყუშებს 80, 72, 50 წელიწადი უცოცხლნიათ. ბუ 50—60 წლამდე სცოცხლობს. 1859 წელს ერთმა ინგლისურმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ არონდელის სასახლეში მოკვდა ბუ, რომელმაც 100 წელიწადი იცოცხლაო. არწივი 40—50 წელს სცოცხლობს, ქორი 20—30 წელს. შესანიშნავია, რომ ბატი დიდხანსა სცოცხლობს. ვილლოუგბისა, ბიუფონისა და ლის სიტყვით, ისეთი ბატები ყოფილან, რომელთაც 80 და 100 წელიწადი უცოცხლნიათ. ამდენსავე სცოცხლობს გედი.

ქვემძრომთა შორის ხანგრძლივის ცხოვრობით ყველას კუ სჯობს. ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში ეხლაც არის ერთი დიდი კუ; ეს კუ 150 წლისაა ამ ჟამად. ამბობენ, რომ კუ 300 წელიწადსაც სცოცხლობსო. პეტერბოროში ერთ კუს 220 წელიწადი უცოცხლნია. ამის შესახებ მოწმობა ადგილობრივ ეკკლესიის არქივში ინახება. მაგრამ ცოცხალ არსებათა შორის ყველაზედ მეტს მაინც თევზები სცოცხლობენ. 1447 წელს დაიჭირეს ერთი ქარიყლაპია თევზი. ეს თევზი პირველად 1205 წელსს, ე. ი. 272 წლის წინად დაუჭერიათ, ბეჭედი ზედვე ჰქონია და წელიწადიც ბეჭედზედ აღნიშნული ყოფილა.

# ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდგან", შედგენილი ა. ქუთათელაძის მიერ. რვეული I. როგორც ავტორის „წინასიტყვაობის მაგიერი"-დგანა სჩანს, მას განზრახვა თურმე აქვს მოკლედ გააცნოს მოსწავლეთ სამშობლო ისტორია, რომლის აწ არსებულ წყაროებიდგან რიგიანად შესწავლაც გაძნელებულია და განსაკუთრებულს თავისუფალს დროს თხოულობს. ეს განზრახვა, თუ რომ ნახევარზედ მაინც არის განხორციელდა, ეჭვი არ არის დიდად მოსაწონია. პირველს რვეულში მოყვანილია მოკლე ისტორიული ცნობები უძველეს დროიდგან მეფე დავით გიორგის ძე აღმაშენებელამდე და სულ შეიცავს 78 გვერდს. მეორე რვეულში, ავტორის დაპირებით, მოქცეული იქმნება მთლად დანაშთენი მოკლე ისტორია თავისუფალ საქართველოსი მეფე დავით აღმაშენებლიდგან, ვიდრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. წიგნი კარგად არის დაბეჭდილი და ღირს ხუთ შაურად.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

მ

მაკრატელა—მც. ქართ.

მალა—თხელი ქაფჩა ბათქაშის საქნელი, კალატ. იარაღი. ქართ.

მანგია—კაცის სახელია ხევსურეთში. საბა ამბობს: მანგი—მარგალიტი, ანუ მთვარე, ჰარაია ჰხსნის: მეგრულად—სწორე, თანასწორი, მოყვანილი, სიმეტრიული. ხევსურეთში დღესაც კაცის სახელია.

მანეული—საგოდრე წნორი. Карзиночная ива. ქართ.

მანჭი—გუთნის ნაწილია. ქართ.

მანძილა—დიდი ხარი. ფშ. საბა: ბერწმსუქანი.

მარახული—„მთას მარახული მოჰკიდა,
მწყემსო, აჰყარე ცხვარია,
არ მოგწყინდაა მთაშია,
არ მოგინდაა ბარია?!.
შემოდგომის ყვითელი ფერი. ფშ.

მატალა—შირიმის კლდე. წყალი რომ სწვეთავს მაღლიდგან და თან კირიან კლდეებს აკეთებს. ფშავში ბევრია ამისთანა კლდეები.

მ.ყალ-ურძა—ბალ. ფშ.

მაჩანჩალა—ზედ-მეტი. ქართ.

მაცილი—მაცდური, ეშმაკი. ფშ.

მაცნე—მოამბე, მახარობელი. ფშ.

მაჭუტი—პატარა, გამხდარი, დალეული, მაგრამ ეშმაკი. ქართ.

მახობელი—მც. ქართლში პურში იცის მორევა; თუ ბევრი არ ურევია, ძალიან აკეთებს და აფაფუკებს პურსა.

მელაღუნი—შავი მელა. ნად. კახ. მეკალტია—თეთრი მინდვრის ქორი. ხევს.

*) იხ. „ივერია", № 132.

მიჭის მაღლა—ქრ. მდაბიოთა აზრით, თუ საჭონლემა მიჭის მგელი დაინახა, მაშინვე გახქდება.
მიდმოთება—განიდულობა, ბევრი საქმის ქონება. ფშ.
მკირდიანი ძუძუ—რომელიც არ ჩამოგრძელდება სიბერეშიაც, ხორციანი დაბალი ძუძუ. ქრ.
მკვარი—კახეთში ბიკვანი, ფშავში ჩირები. კახეთში ლეკებს გადმოაქვს და იქიდან ლეკური სიტყვა იყოს, ფშავში შირაქიდგან მოაქვთ ჩირები და ვგონებ თათრული სიტყვა უნდა იყოს. ხმელეთის ქართული იქნება: მკვარი.
მომხელევა—მოხეთქა ადგილისა, მიზავები. ფშ.
მოშურვა—ყანის მაღლა მოშლა.
მოჯდარიანი—შვიდი ვარსკვლავნი, астероиды. ფშ.
მურაბი—გულით სანდომი, ნატვრა.
მურები—ესღუგთით. კაცი თუ დედაკაცი. ქართ.
მურდალი—უდანოდ მომეჯარი. ფშ.
მურდალი კაცი—ლოძე კაცი. ფშ.
მეშნ—ცინცის ქერქი, შაგნიანი კანი, თელისა—ლაფანი. ფშ.
მუცულ-ღმრთი—მუცელზედ გადაგებული. ქართ.
მჭაშე—ჭაშა. ფშ.
მღორკელი—ღობედ გადებული კარი. ფშ.
მჭვვრა—ამჭვვი ლეენარენი. ფშ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივნისი.

**ტოკიო.** მარშალმა იამაგატამ გამოუცხადა ერთს კორესპონდენტს, რომ დიდი სახელმწიფოთა საშუამდგომლოდ რა გარდაწყვეტილებასაც უნდა დაადგნენ, მაინც იაპონიის მთავრობა იმათ მხარს დაუჭერსო. იამაგატამ დასძინა დასასრულ, რომ იაპონელნი ძალიანაც არ არიან მოწადინებულნი თვისთავის მიწა-წყალის გაფართოების ახლო მომავალში, რადგან შეიძლება საქმეთა ვითარებამ იძულებულ ჰყოს იაპონია ასე მოიქცესო.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ გაუქმებულია დამნაშავეთა სხვაგან გაგზავნა, და დამტკიცებულია დროებითი წესები იმის გამო, რომ დასასახლებლად და საცხოვრებლად გაგზავნის ნაცვლად სხვა სასჯელი იქნება დადგენილი: 1) გაგზავნა დასასახლებლად ციმბირსა და ამიერ-კავკასიაში, აგრეთვე გაგზავნა საცხოვრებლად ციმბირსა და, ციმბირის გარდა, სხვა შორეულ გუბერნიებში გაუქმებულ იქნება, იმ-კი, რომ დატოვებულ იქნას დასასახლებლად გაგზავნა ამისთვის დანიშნულ ადგილებში მხოლოდ კანონში განსაკუთრებით ნაჩვენებ დანაშაულისათვის. 2) გაუქმებულ იქმნას უფლება საგლეხო და ქალაქის მკვიდრთა საზოგადოებათა განაჩენის დადგენისა იმის შესახებ, რომ მიიღონ ანუ არ მიიღონ თვისში წევრნი, რომელნიც გარდაიხადიან სასჯელი სასამართლოს განაჩენით პატიმართა ხასიათის გამოსწორების განყოფილებაში ანუ სასპატიმროში ყოფილან დამწყვდეულნი ყოველ განსაკუთრებულ პირად და წოდებრივ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევით. ამასთანავე გაუქმებულ იქმნის ქალაქის მკვიდრთა საზოგადოებათა უფლება, რომლითაც ისინი მთავრობას წარუდგენენ ხოლმე მისდა განსაკარგულებლად თავისს წევრებს, თუ ვინიცობაა ისინი ბიწიერის ყოფა-ქცევისანი იყვნენ.

დანიშნულ იქმნა ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორის ამხანაგად—ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა გამგედ.

**ვილჰელმსჰაფენი.** იმპერატორმა ბრძანება გასცა, რომ პირველ ესკადრის პირველი დივიზია სასწრაფოდ მომზადდეს და ჩინეთში წავიდეს.

**ლონდონი.** ბელგრეი იუწყება სტანდერტონიდგან, რომ გენერალი ტალბოტ-კოკი 16 ივნისს წავიდა მესამე ბრიგადით ამერსფორტისაკენ და მიეგნო იმ ბურების ჯარს, 2,000 კაცს ზარბაზნით ძლიერს სიმაგრეში. დაუწყეს რა სროლა ბურებმა, კოკმა დაიწია უკან. ინგლისელებს მოუკლათ ორი ჯარის-კაცი და ექვსი დაუჭრეს.

**ვაშინგტონი.** კემპფი იუწყებს დეპეშით ლონდონს, რომ პეკინიდგან მოკრიკმა, სხვათა შორის, ამბავი მოიტანა: თითქო პეკინში 20,000 ჯარის-კაცი იმყოფება ჩინეთისა, იმის გარეშე 20,000 ჯარის-კაცი და 3,000 ტიან-ძინის გზაზედ იმყოფებაო. ტიან-ძინში ჯერ ბრძოლა არ შეწყვეტილა.

**პარიზი.** პალატა. დელკასე იუწყება, რომ ადმირალ კურიელს ჩქარა ეყოლება 3,000 კაცით. სხვა ნაწილი ჯარისა იგზავნება ანუ უკვე გაგზავნილია საფრანგეთიდგან. ერთის თვის შემდეგ საფრანგეთს ჩინეთში საქმეთა ვითარების შესაფერი ჯარი ეყოლებაო.

**ბაქო.** გზათა უწყების მინისტრი იმიერ-კასპიის მხარეში წავიდა.

**კონსტანტინეპოლი.** სარაიდგან, ოსმალეთის სპარსეთის საზღვარს ახლო ადგილიდგან, იუწყებიან, რომ ქურთები შემოესივნენ საზღვარს და იმათ და ოსმალეთის ჯარს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ქურთების წინამძღოლი და იმისი ორი ძმა ომში მოკლულ იქმნენო.

**იოკაჰამა.** იაპონიის წითელის ჯვრის გემი წავიდა ჩინეთში, რომ დახმარება გაუწიოს ყველა ეროვნების დაჭრილებს.

**ბერლინი.** პეკინის სადესპანოდგან ტაკუში მიღებულია წერილი, რომ პეკინს გარს არტყია ჯარი არეულობის მოთავეებისა; საქმეთა ვითარება დიდად სამიშია. გერმანიის ელჩი 3 ივნისს უსაფრთხოდ-დარაჯად წასვლის საფრთხოდ ჰყავს ჩინეთის თავგზრობის წინაშე, თავს დაესხა ჩინეთის ჯარი და იგი გარდაიცვალა თავდასხმის შემდეგ. იმასთან ერთად დაჭრილია სადესპანო თარჯიმანი (დრაგომანი) სადესპანოში შეგუნა თავი. 12 ივნისს დაუწყებელი იყო დარჩენილი მთელის გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისის სადესპანო რომლებშიაც ჯარია შესული. პეკინის ის უბანი, სადაც ჩინელები სცხოვრობენ, დამწვარია. პეკინს გარეშე 30,000 ჩინეთის ჯარის-კაცი სდგას. ქვრივი იმპერატრიცა პეკინიდგან გაიქცა. აქ საქმეთა ვითარება დიდად სამიშია, რადგან, როგორც სჩანს, ჩინეთის დიდი ჯარი მიიწევს ტიან-ძინისაკენ.

**ბრიუსელი.** დღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაიწყო განხილვა სიპიდოს საქმისა, რომელსაც უელსის პრინცის მოკვლა უნდოდა. 180 მოწმეა დაბარებული. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევიდგან გამოირკვა, რომ სიპიდოს პრინცის მოკვლა ადრევე ჰქონია განზრახული. *).

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუძღვნით ბათუმის ქართველი მოწაფეები ქ-ნთ: მარიამ კაკაბაძისას და ნინო ბერძნიშვილისას, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს იმ ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც სიღარიბის გამო იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ სასწავლებლის კედლები. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით შემომწირველთ. სია შემომწირველებისა:

კლეინგესი—10 მ., ა. ფაჩულია—1 მ., მ. პარასკევოპულო—2 მ., ა. ენკელევიჩ—2 მ., გ. პაპადოპულო—1 მ., ფეშექეროვი—1 მ., ს. კაკაბაძე—2 მ., ა, მებუკე—2 მ., ე. მომფორია—1 მ., პ. გალდავაძე—1 მ., ი. ბერიძე—1 მ., მ. სანაძე—1 მ., პ. კაკაბაძე—2 მ., მ. გალუსტოვი—1 მ., ი. ლოლუა—1 მ., ა. გუგუშვილი—1 მ., ს, აბზიანიძე—1 მ., №—2 მ., დ. გუგუშვილი—1 მ., ი. ნანეიშვილი—1 მ., ვ. პეტუხოვი—1 მ., იგითხანიანცი—1 მ., ს. ქუთათელაძე 1 მან., მ. ლომაია 2 მან. ს. ტოროტაძე—1 მ., გრ. ელიავა—2 მ., მ. გედევანოვისა—2 მ., ნ, ცეცხლაძე—1 მ., ო. ზავაროვისა—1 მ., №—1 მ., პ. ლომინაძისა—1 მ., ნ. საბაევი—3 მ., ნ. ქიქოძისა—1 მ., რ. კახიანი—2 მ., ა. გოთოშია—1 მ., ი. ქინქლაძე—1 მ., ლომინაძე და ბერძენიშვილი—1 მ., თ. კვაჭანტირაძე—1 მ., ე. კახიანისა—1 მ., ა. თოიძე—1 მ., მავროპულო—1 მ.. ს. წითლიძე—2 მ., ცვერიანოვი—1 მ., მ. გოგორიშვილი—1 მ., დ. შილაკაძე—1 მ., ა. გოთოშია—2 მ., ფ. ფილიპოვი—1 მ., ნ. ქვანია—50 კ., ნ. №—2 მ., რუხაძე—50 კ., გ. ერქომაიშვილი—50 კ., აგაროდნიკოვი—50 კ., კაკაბაძე—50 კ., ოთხმეზური—50 კ., ე. ბერძენიშვილი—50 კ., ი. მეგრელიშვილი—25 კ., ძმები თავართქილაძეები—50 კ., მ. გაბუნია—50 კ., ქრ. კახიანი—1 მ. 50 კ., დ. შა...—50 კ.

ბათუმის ქართველი მოწაფეები

—

როგორც ჩემის, ისე ჩემის მოსწავლეების მხრივ მადლობას ვუცხადებ ს. კორბოულის მღვდელს მ. ვლადიმერ მაჭარაშვილს, რომელმაც 6 ივნისს, ინახულა რა ჩემდამო რწმუნებული სკოლა, საჩუქრად მოსწავლეებს 30 ცალი წიგნაკი „მოწაფის ჰიგიენა“ დაურიგა და შემდეგშიაც შემწეობა აღუთქვა.

პერევისის სკ. მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი

—

გულითადს მადლობას ვუცხადებ თ. ევგენი დავითის ძეს ქობულიშვილს და მისს მეუღლეს კნეინა ნინოს, რომელთაც კახეთის ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიას შემოსწირეს 48 მანეთად ღირებული ორ ფუთიანი ზარი და 5 მანეთად ღირებული ატლასის ოდიკი. სულ 53 მანეთისა; გარდა ამისა, ეკკლესიის შეკეთებასაც დამპირდნენ.

ბალაჰის სამრევლოს მღვდელი იაკობ ჯანელიძე

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ანდრო სიმონის ძე მხეიძეს, რომელმაც თავის ნაცნობთა შორის 11 მ. 40 კ. შეგვიკრიბა ლანჩხუთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შენობის ასაგებად. გულითადს მადლობას ვუცხადეთ აგრეთვე იმ პატივცემულთაც, რომლებმაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს ამ კეთილ დაწესებულებისათვის. სია შემომწირველთა: ანდრო მხეიძემ, ალექ. ალავიძემ ორ-ორი მანეთი. ევგ. გაბელიამ, ვას. გოგავამ, ფედოსია შარახიამ, სპ. ბენდუქიძემ, თითო მანეთი; ბეჟ. ბერეჟიანმა, აფრ. ჟღენტმა, ნ. ჭუმბურიძემ, ვ. კვანტალინმა, მიხ. დარახველიამ ათ-ათი შაური; ბეს. შარაშიძემ ორი აბაზი, ანტ. კალატოზოვმა ათი შაური.

ლანჩხუთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მმართველი—ნ. მხეიძე.
გამგე—გ. ურატაძე

*) დანარჩენს დეპეშებს, შინაარსით დიდად საყურადღებოს, ვტოვებთ ხვალისათვის, რადგან ღამის პირველის ნახევარ საათზედ მოგვივიდა და მისი დაბეჭდვა გაზეთის გამოცემას დააბრკოლებდა.

## ანგარიში

დ. ონის უფასო სახალხო სამკითხველოსი 1899 წლისა.

შემოვიდა ფული: 1, სამკითხველოს ამხანაგობის 19 წევრთაგან 95 მანეთი; 2. ძველი უვარგისის გაზეთების გაყიდვით—9 მან. 45 კაპ.; 3. სცენის მოყვარეთაგან, რომლებმაც გამართეს წარმოდგენა დ. ონში 22 აგვისტოს 1899 წ.—30 მან.; 4. კერძო შემოწირულება: ა. მ. ვართაპეტოვისაგან 3 მან., დ. ა. ბერუჩოვისაგან 2 მან., ვ. ვ. მარკოვიჩისაგან 1 მან. 15 კაპ., ი. ს. და დ. გ. კვიტაშვილებისაგან 2 მ., სულ 8 მ. 15 კ. სულ შემოვიდა 142 მან. 60 კაპ.; 5. წიგნები შემოსწირეს: კოსტ. რამაზ. გოცირიძემ ოთხმოცი ქართული წიგნი ყდაში ჩასმული, ოცი მან., თავად ჯანსოხ დადეშქელიანმა ცხრა რუსული წიგნი; ს. ი. ლეინევიცმა ერთი რუსული წიგნი.

დაიხარჯა: 1. ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის 43 მან. 90 კაპ.; 2. სამკითხველოს მმართველის თანაშემწეს ჯამაგირი 30 მან. 19 კაპ., 3. გასტუმრებულია ვალი, რომელიც ირიცხებოდა სამკითხველოზედ 1 იანვრისთვის 1899 წ., 27 მან. 45 კაპ.; 4. შეშა, ნავთი და სხვა წვრილი ხარჯი 36 მან. 98 კაპ.; სულ—138 მან. 52 კაპ.;

1 იანვრისთვის 1900 წ. სამკითხველოს დარჩა 4 მან. და 8 კაპ.

1899 წელში სამკითხველოს ჰქონდა წიგნები: რუსული 149 და ქართული 317. გამოწერილი ჰქონდა: „Русское Богатство“, „Вѣстникъ Иностранной литературы“, „Нива“, „Вокругъ свѣта“, „Пастырскій собесѣдникъ“, „Журналъ для всѣхъ“, „მოამბე“ „კვალი“, „Кавказъ“ „Новое-обозрѣніе“, „Сынъ отечества“.

რედაქციებმა დაუთმეს სამკითხველოს ნაკლებ ფასად: „Нива“—5 მანეთად, „Пастырскій собесѣдникъ“—3 მანეთად, „ივერია“—5 მანეთად, „მოამბე“—5 მანეთად, „კვალი“—4 მანეთად.

„Кавказъ“-ი ბ-ნმა ველიჩკომ დაუთმო სამკითხველოს უფასოდ; „Новое обозрѣніе“-ც იგზავნებოდა შეჩერებამდე უფასოდ, გარდა ორი მანეთის ფოსტის ხარჯისა, რომელიც იკისრა ალ. ფარ. ხაინდრავამ.

დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამკითხველოს ფულის შეკრების შესახებ, მზრუნველმა სამკითხველოსამ ა. თ. ქ. ხარაძისამ.

საქმის დღეებში სამკითხველო იყო გაღებული საღამოს ხუთ საათიდგან ცხრა საათამდე, ხოლო უქმე დღეებში, ზემო მოხსენებულ დროს გარდა, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდე.

ამ წლის განმავლობაში სამკითხველოში ისარგებლა წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით უფასოდ 1384 კაცმა; სახლში წაიღეს წიგნები უფასოდვე 289 კაცმა. სამკითხველოს ზედამხედველი კომიტეტი, სამკითხველოს წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად, გულითადს მადლობას სწირავს შემომწირველთ და რედაქციებს დახმარებისათვის.

წევრნი ზედამხედველი კომიტეტისა
დ. ნოდია და პარ. გამყრელიძე

## სასამართლოს ცნობები.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული: პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

27 ივნისი

საქმე ილია დიმიტრის ძის თუხარელისა, რომელსაც ბრალად ედება ხუთის კოდის ხორბლისა და სამის კოკის ღვინის მოპარვა.

საქმე სანდრო ყარაშვილისა, რომელსაც კაცის სასიკვდილოდ დაჭრა ჰბრალდება.


## განცხადებანი

„იავნანამ რა ჰქმნა?“

სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, დაბეჭდილი მესამედ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ, რომლის საკუთრებასაც შეადგენს. წიგნაკი შემკულია ცხრა სურათითა და ღირს რვა შაური. იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და სხვა ქალაქებშიაც გაიგზავნება.

(4—4)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასალამაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ღამწვარს კანს, სპობს მეწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია: დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—100)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) უკვდავთა ლაღადებანი ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.
ბ) ქართული მწერლობა მე-X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.
გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.
დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.
ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.
(20—უ.—9)